I – არჩევითბოლოიანი კითხვა

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. პასუხების ფურცელში უნდა გადახაზოთ არჩეული პასუხის შესაბამისი უჯრა. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება; თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი, და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რას უწოდეს მეცნიერებმა „ნეოლითური რევოლუცია“?

ა. უძველესი სახელმწიფოების წარმოშობას

ბ. მწარმოებლური მეურნეობის ჩასახვას

გ. უძველესი მეტალურგიის წარმოშობას

დ. საირიგაციო ცივილიზაციის ჩასახვას

2. რომელი სახელმწიფოს მეფე იყო მენუა?

ა. ასურეთის

ბ. ურარტუს

გ. მითანის

დ. ბაბილონის

3. რას ეწოდებოდა პოლისი?

ა. ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოს

ბ. ეგვიპტურ სავაჭრო კოლონიას

გ. ურარტულ ციხე-სიმაგრეს

დ. რომაულ საკულტო ნაგებობას

4. რომელი ისტორიული თხზულება გვაწვდის ცნობას ქართლში აზოს მმართველად დადგინების შესახებ?

ა. ძეგლი ერისთავთა

ბ. ქართლის ცხოვრება

გ. ძეგლის დადება

დ. ამბავნი ქართლისანი

5. რომელი სამეფო იყო პონტოს მოკავშირე რომის წინააღმდეგ ბრძოლაში?

ა. სომხეთი

ბ. ლიდია

გ. ირანი

დ. ასურეთი

6. რა ენებზეა შესრულებული არმაზის ბილინგვა?

ა. არამეულ და ლათინურ

ბ. ლათინურ და ელამურ

გ. ელამურ და ბერძნულ

დ. ბერძნულ და არამეულ

7. რომელი ხალხის მბრძანებელი ატარებდა ხაკანის ტიტულს?

ა. პაჭანიკების

ბ. ჰუნების

გ. ყივჩაღების

დ. ხაზარების

8. რომელი ქართული სამეფო/სამთავროს მმართველს ეწოდებოდა ქორეპისკოპოსი?

ა. აფხაზთა

ბ. ქართველთა

გ. ჰერეთის

დ. კახეთის

9. რა იყო XI საუკუნეში შუა აზიიდან თურქული ტომების მიგრაციის ძირითადი მიზეზი?

ა. საქარავნო გზების ხელში ჩაგდება

ბ. ისლამის გავრცელება

გ. ახალი საძოვრების ძიება

დ. ბიზანტიის დაპყრობა

10. რა შედეგით დასრულდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლა?

ა. გაიზარდა დარბაზის უფლებები

ბ. შეიქმნა სავაზირო

გ. ჩამოყალიბდა „სააჯო კარი“

დ. შეიქმნა მონასპა

11. მონღოლთა რომელი სახელმწიფო მოიცავდა სამხრეთ კავკასიასა და მცირე აზიის ნაწილს?

ა. ილხანთა საყაენო

ბ. ჩაღატაის სახანო

გ. ოქროს ურდო

დ. იუანთა საყაენო

12. რომელი დინასტიის წარმომადგენელი იყო ირანის შაჰი ისმაილი, რომელიც XVI საუკუნის დასაწყისში გამეფდა?

ა. ომაიადების ანუ ომაიანთა

ბ. აბასიდების ანუ აბასიანთა

გ. აქემენიანების ანუ აქემენიდთა

დ. სეფევიდების ანუ სეფიანთა

13. რომელ ორგანოს გადასცა ხელისუფლება საფრანგეთის კონვენტმა თერმიდორული გადატრიალების შემდეგ?

ა. დირექტორიას

ბ. კონგრესს

გ. პარლამენტს

დ. კორტესებს

14. ვინ სარდლობდა ფრანგებს ლაიფციგის ბრძოლაში 1813 წელს?

ა. ბონაპარტე

ბ. რობესპიერი

გ. დანტონი

დ. მირაბო

15. რომელი ქართული სამთავრო გააუქმა რუსეთმა XIX საუკუნეში?

ა. კახეთის

ბ. იმერეთის

გ. აჭარის

დ. აფხაზეთის

16. რომელ სახელმწიფოს წარმოადგენდა კლემანსო ვერსალის საზავო კონფერენციაზე?

ა. აშშ-ს

ბ. საფრანგეთს

გ. დიდ ბრიტანეთს

დ. იტალიას

17. რომელი მოვლენა შევიდა ისტორიაში „უოლ-სტრიტის კრახის“ სახელით?

ა. ნიუ-იორკის ბირჟაზე აქციათა ფასების დაცემა

ბ. გაფიცვები ვაშინგტონში

გ. ბოსტონის დემონსტრაცია

დ. ჩიკაგოს დიდი ხანძარი

18. რომელ კუნძულებზე მდებარეობდა პერლ-ჰარბორის სამხედრო საზღვაო ბაზა?

ა. ჰავაის

ბ. ფილიპინების

გ. ფიჯის

დ. სოლომონის

19. რა ეწოდება II მსოფლიო ომის შემდეგ ევროპის ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკური დახმარების გეგმას?

ა. ტრუმენის დოქტრინა

ბ. ჩერჩილის კონცეფცია

გ. ახალი კურსი

დ. მარშალის გეგმა

20. რომელი დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანო *არ მიეკუთვნება* სახელმწიფო ხელისუფლების არცერთ შტოს?

ა. საკონსტიტუციო სასამართლო

ბ. სახალხო დამცველი

გ. ფინანსთა სამინისტრო

დ. პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა

ინსტრუქცია

ქრონოლოგიურად (უძველესიდან უახლესისაკენ) დაალაგეთ ისტორიული პიროვნებები და მოვლენები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

21. ქრონოლოგიურად დაალაგეთ აქემენიდთა დინასტიის წარმომადგენლები მათი მმართველობის დროის მიხედვით:

1. კამბიზ II
2. დარიოს I
3. კიროს II

22. ქრონოლოგიურად დაალაგეთ არაბთა ხალიფები მათი მმართველობის დროის მიხედვით:

1. მოავია
2. აბუ ბაქრი
3. ომარი

23. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საფრანგეთში მომხდარი მოვლენები:

1. ვატერლოოს ბრძოლა
2. თერმიდორული გადატრიალება
3. ლუი XVI-ის მიერ გენერალური შტატების მოწვევა

24. ქრონოლოგიურად დაალაგეთ II მსოფლიო ომის დროს მომხდარი მოვლენები:

1. თეირანის კონფერენცია
2. მოკავშირეთა დესანტის გადასხმა ნორმანდიაში
3. სსრკ-ს თავდასხმა ფინეთზე

III - შეცდომის პოვნა და შესწორება

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები. იპოვეთ მათში დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი ფაქტობრივი შეცდომა და მისი შესწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ, რომ შეფასდება როგორც თქვენ მიერ ნაპოვნი შეცდომა, ისე მისი შესწორებული ვარიანტი. **ასევე გაითვალისწინეთ, რომ პასუხების ფურცელში მოცემული ცხრილის შესაბამის ადგილას უნდა ჩაიწეროს მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, სახელი და ა.შ. და არავითარ შემთხვევაში, მთელი წინადადება ან თუნდაც რამდენიმე სიტყვა.** დავალების მაქსიმალური ქულაა 14.

(14) **25. ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა**

VI საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასლის ძალისხმევით ქართლის სამეფოში მნიშვნელოვანი საეკლესიო რეფორმა განხორციელდა. მეფემ სპარსეთში თავისი წარმომადგენლები გააგზავნა და იქიდან საგანგებოდ შერჩეული ქრისტიანი სასულიერო პირი, სახელად იოანე გამოითხოვა. ალექსანდრიის პატრიარქმა ის ქართლის მიტროპოლიტად აკურთხა და საქართველოში გამოგზავნა. ამავე დროს, ვახტანგის თაოსნობით, სამეფოში ახალი საეგზარქოსოები შეიქმნა. ამ რეფორმის შედეგად საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ეკლესიის თვითმმართველობას. ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ვითარება გართულდა. მალე ქართლში მეფობა გაუქმდა და ქვეყნის მმართველად ირანელი მოხელე, ამირა დაინიშნა.

(14) **26. ინგლისური კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკაში**

პირველი ინგლისური კოლონიები ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე XVI საუკუნიდან გაჩნდა. ინგლისის მეფე ჰენრი I–მა პირველი კოლონიის დაარსების ნებართვა ამსტერდამის სააქციო კომპანიას მისცა. ამის შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკის წყნარი ოკეანის სანაპიროზე სხვა კოლონიებიც დაარსდა. ინგლისს, რომელსაც ბურბონთა დინასტია მართავდა, კოლონისტები სხვადასხვა მიზეზით ტოვებდნენ. მათ შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რელიგიურ დევნას განიცდიდნენ. დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა პირველი 20 კოლონია, რომელთა საფუძველზეც 1789 წელს შეიქმნა ამერიკის შეერთებული შტატები.

IV - ისტორიული წყაროს ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) **27. ნაწყვეტი ფრანგი მოგზაურის ჟ.პ. დე ტურნეფორის (1656–1708)[1] ნაშრომიდან „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“**

ქალაქი თბილისი გაშენებულია მოშიშვლებული მთის ფერდობზე, ძალზე ვიწრო ხეობაში. როგორც დიონ კასიუსი გვამცნობს, იბერიელები მდინარე მტკვრის ორივე ნაპირზე ცხოვრობდნენ. ისინი დასავლეთ მხრიდან არმენიელებს, ხოლო აღმოსავლეთ მხრიდან ალბანელებს ემეზობლებოდნენ. ალბანელებს მტკვრის გადაღმა ტერიტორია ეჭირათ კასპიის ზღვამდე... პლუტარქე შენიშნავს, იბერიელები არასოდეს დამორჩილებიან არც მიდიელებს, არც სპარსელებს და არც თვით დიდ ალექსანდრესო. მხოლოდ პომპეუსმა შეძლო მათი დამარცხება. ამ დროს იბერიაში მეფობდა არტოკი, რომელიც შეეცადა პომპეუსთან დაზავებას მისი მოტყუების მიზნით. მაგრამ პომპეუსი მაინც შეიჭრა მის სამეფოში და მიაღწია აკროპოლისს, სადაც სამეფო კარი იდგა. დაბნეული და შეძრწუნებული მეფე მტკვრის მეორე მხარეს გადაიხვეწა და ცეცხლი წაუკიდა ხიდს. რომაელებმა დალაშქრეს მთელი ქვეყანა და ამიერიდან კავკასიონის ძირითადი გადასასვლელის ბატონ-პატრონნი გახდნენ. პომპეუსმა აქ თავისი გარნიზონი ჩააყენა და მტკვრის გასწვრივ მდებარე ქვეყანა მთლიანად დაიმორჩილა...

თბილისი საკმაოდ დიდი და მჭიდროდ დასახლებული ქალაქია. ციხე ქალაქის თავზე, მშვენიერ ადგილზე დგას, მაგრამ სანახევროდ დანგრეული გალავანი მხოლოდ და მხოლოდ სუსტი კოშკებითაა დაცული.... საქართველოს მეფე, რომელმაც სპარსეთის ჩვეულების თანახმად, ხელმწიფის საჩუქრები და ბრძანებები ქალაქის გარეთ უნდა მიიღოს, ასევე მოვალეა გაიაროს ამ ციხეზე. აქ ციხე-სიმაგრის კომენდანტს ადვილად შეუძლია დააკავოს მეფე, თუკი ამგვარი ბრძანება ექნება მიღებული სპარსეთის ხელმწიფისგან.

[1] ჟოზეფ პიტონ დე ტურნეფორმა საქართველოში 1701 წლის ზაფხულში იმოგზაურა.

<u>კითხვები:</u>

(1) 27.1. რომელი სახელმწიფო მდებარეობს დღეს ტექსტში ნახსენები ალბანელების ტერიტორიაზე?

(1) 27.2. ვინ იგულისხმება დიდ ალექსანდრეში?

(1) 27.3. რომელი სახელმწიფოს მხედართმთავარი იყო პომპეუსი?

(1) 27.4. რომელი ქართველი მეფე იგულისხმება ტექსტში ნახსენებ არტოკში?

(1) 27.5. ტექსტის მიხედვით, როგორ ცდილობდა არტოკი პომპეუსის მოტყუებას?

(1) 27.6. ქართლის რომელ ქალაქში მდებარეობდა ტექსტში ნახსენები აკროპოლისი?

(1) 27.7. რომელ საუკუნეში ილაშქრა პომპეუსმა იბერიაში?

(1) 27.8. ტექსტიდან გამომდინარე, რა ტიპის დამოკიდებულება არსებობდა სპარსეთის მბრძანებელსა და „საქართველოს მეფეს“ შორის?

(1) 27.9. რატომ უნდა მიეღო საქართველოს მეფეს სპარსეთის ხელმწიფის საჩუქრები და ბრძანებები ქალაქგარეთ?

(1) 27.10. რომელი კონკრეტული სამეფოს მეფე იგულისხმება ტექსტში ნახსენებ „საქართველოს მეფეში“?

(1) 27.11. რა ტიტულს ატარებდა სპარსეთის ხელმწიფე?

(1) 27.12. ტექსტიდან გამომდინარე, რატომ უნდა გაევლო საქართველოს მეფეს ციხეზე?

V - ისტორიული რუკა

ინსტრუქცია

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. რუკაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, უპასუხეთ დავალებაში დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 12.

(12) **28. შეისწავლეთ მოცემული რუკა და უპასუხეთ კითხვებს.**

<u>**კითხვები:**</u>

(2) **28.1. რომელი საუკუნეების ვითარებაა ასახული რუკაზე?**

(1) **28.2. რომელი სახელმწიფო დაიპყრეს არაბებმა აზიაში?**

(1) **28.3. რომელი სამეფო დაიპყრეს არაბებმა ევროპაში?**

(4) **28.4. ჩამოთვალეთ ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც არაბებს არ დაუპყრიათ.**

(1) **28.5. არაბთა დაპყრობებამდე რომელი სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა ქრისტიანთა წმინდა ქალაქი?**

(1) **28.6. რომელი სამეფო *არ ჰქონდათ* დაპყრობილი სასანიანებს სამხრეთ კავკასიაში?**

(1) **28.7. რომელი დინასტიის მმართველობის დროს დაიპყრეს არაბებმა მაღრიბი?**

(1) **28.8. თქვენი აზრით, რამ განაპირობა არაბთა დაპყრობითი ომების წარმატებები?**


ბიზანტიის იმპერია ირანთან ომებისა და ურთიერთობების დროს
ირანთან სახელმწიფოს ტერიტორია 630 წ.
ბიზანტიელ ხალიფების ლაშქრობების ტერიტორიები (661 წ.)
ირანთან სახელმწიფო ომებიანთა დროს (661-750 წწ.)
ლაშქარობებზე ადგილების საზღვარი
ლაშქრობა ბიზანტიელთა მიმართულებები
ლაშქრობა ირანელთა თარიღები
ბრძოლების ადგილის ადგილები
და თარიღები
674-680
641
ტბები
ისტორიული მხარე
350 0 350 700 კმ.

VI - პრობლემის ანალიზი

ინსტრუქცია

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. **არ დაწეროთ პირობაში მოთხოვნილ რაოდენობაზე მეტი არგუმენტი.** გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

(2) 29. პეტრე I და ვახტანგ VI

ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ დარბაზი მოიწვია. განიხილებოდა მნიშვნელოვანი საკითხი: ჩაბმულიყო თუ არა ქართლის სამეფო პეტრე I-ის მიერ წამოწყებულ ლაშქრობაში ირანის წინააღმდეგ. დარბაზის დამსწრეთა ერთი ნაწილი ომში ჩაბმის მომხრე იყო, ნაწილი – მოწინააღმდეგე.

<u>დავალება:</u>

მოიყვანეთ თითო-თითო კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ.

(2) 30. გერმანიის საკითხი ვერსალის საზავო კონფერენციაზე

ვერსალის საზავო კონფერენციაზე გერმანიის საკითხის გარშემო კამათი გაიმართა. კონფერენციის მონაწილეთა ნაწილი გერმანიისათვის მძიმე პირობების წაყენების მომხრე იყო. კონფერენციის სხვა მონაწილეები კი საწინააღმდეგო აზრს უჭერდნენ მხარს.

<u>დავალება:</u>

მოიყვანეთ თითო-თითო კონკრეტული (პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური ან კულტურულ-რელიგიური) არგუმენტი ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ.

სწორი პასუხები

I – არჩევითბოლოიანი კითხვები, ყოველი დავალება 1 ქულით ფასდება.

1 –ბ

2 –ბ

3 –ა

4 –ბ

5 –ა

6 –დ

7 –დ

8 –დ

9 –გ

10 –ა

11 –ა

12 –დ

13 –ა

14 –ა

15 –დ

16 –ბ

17 –ა

18 –ა

19 –დ

20 –ბ

II – ქრონოლოგიის განსაზღვრა, ყოველი დავალება 1 ქულით ფასდება.

21. 312

22. 231

23. 321

24. 312

III– შეცდომის პოვნა

25. სულ 14 ქულა (აღმოჩენილი შეცდომა - 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა).

არის	**უნდა იყოს**
1. VI	V
2. სპარსეთი	ბიზანტია
3. იოანე	პეტრე
4. ალექსანდრია	ანტიოქია
5. მიტროპილოტი	კათალიკოსი
6. საეგზარქოსო	საეპისკოპოსო
7. ამირა	მარზპანი

26. სულ 14 ქულა (აღმოჩენილი შეცდომა – 1 ქულა, მისი გასწორებული ვარიანტი - 1 ქულა).

არის	**უნდა იყოს**
1. XVI	XVII
2. ჰენრი	ჯეიმსი
3. ამსტერდამი	ლონდონი
4. წყნარი	ატლანტის
5. ბურბონები	სტიუარტები
6. 20	13
7. 1789	1776

IV – ისტორიული წყაროს ანალიზი

სულ 12 ქულა

27.1. აზერბაიჯანი - 1 ქულა

27.2. ალექსანდრე მაკედონელი - 1 ქულა

27.3. რომი - 1 ქულა

27.4. არტაგი - 1 ქულა

27.5. დაზავებით - 1 ქულა

27.6. მცხეთაში - 1 ქულა

27.7. ძვ.წ. I ს.–ში - 1 ქულა

27.8. ვასალური - 1 ქულა

27.9. სპარსული ჩვეულების თანახმად // ამით გამოიხატებოდა საქართველოს მეფის მორჩილება სპარსეთის ხელმწიფის მიმართ (მსგავსი შინაარსის ნებისმიერი პასუხი, ფაქტობრივი შეცდომის გარეშე) - 1 ქულა

27.10. ქართლის - 1 ქულა

27.11. შაჰის - 1 ქულა

27.12. რათა კომენდანტს შეძლებოდა მეფის დაკავება, თუკი ამგვარი ბრძანება ექნებოდა - 1 ქულა

V – რუკის ანალიზი

სულ 12 ქულა

28.1. VII - 1 ქულა; VIII – 1 ქულა; VII – VIII - 2 ქულა; სულ 2 ქულა

28.2. სასანიანთა სახელმწიფო – 1 ქულა

28.3. ვესტგოთების სამეფო – 1 ქულა

28.4. ფრანკთა სამეფო —1 ქულა// ბულგარეთის სამეფო ——1 ქულა// ლანგობარდების სამეფო — 1 ქულა// ბიზანტია ——1 ქულა; სულ 4 ქულა

28.5. ბიზანტიის – 1 ქულა

28.6. ეგრისი//ლაზიკა – 1 ქულა

28.7. ომაიანთა – 1 ქულა

28.8. ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

VI – პრობლემის ანალიზი

29. სულ 2 ქულა

მომხრე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

მოწინააღმდეგე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

30. სულ 2 ქულა

მომხრე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა

მოწინააღმდეგე - ნებისმიერი კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მატარებელი, ლოგიკური პასუხი, რომელიც არ შეიცავს ფაქტობრივ შეცდომას – 1 ქულა